სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 2 (4523) • 27 იანვარი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გილოცავთ ნინოობას!

ნომრის სტუმარია თბილისის 99-ე საჯარო სკოლა

მიზანი, რომელიც მიღწეულზე მეტია

მარცხნიდან პირველი
ნინო მესხიშვილი

ერთ დროს განათლების სამინისტროსგან წამოვიდა კეთილი ინიციატივა: იუბილარ და პრესტიჟულ სკოლებს შეედგინათ საკუთარი საქმიანობის მატიანე, ე. ი. წიგნად გამოეცათ თავიანთი სკოლის ისტორია. ბევრი გამოეხმაურა ამ წამოწყებას. მაგალითად, **თბილისის მე-11 სკოლის** მაშინდელმა დირექტორმა **რომან მოსეშვილმა** და განათლების სამინისტროს აწ განსვენებულმა მთავარმა სპეციალისტმა **ჰამლეტ ჩხენკელმა** 2005 წელს გამოსცეს სანიმუშო წიგნი: **„დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“** ასეთი მატიანის ღირსთა შორის გვეგულება თბილისის, საამაყო ისტორიის მქონე **99-ე საჯარო სკოლა**.

ყოველთვის იყო იგი წარმატებული და ძლიერი. **ნანა გორდეზიანის** დირექტორობის დროს ორჯერ ვუძღვენით ამ სკოლის პედაგოგებს მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის ამსახველი სტატიები.

ამჯერად, დღევანდელობაზე ვისაუბრებთ. სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა. „მოვიდას“ პირობითად ვამბობთ, თორემ **ნინო მესხიშვილი** „შინაურია“, 15 წელია ამ სკოლაში მოღვაწეობს, როგორც ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ჩინებული მასწავლებელი, ხოლო მეორე წელია სერთიფიცირებული, დირექტორობის კონკურსში გამარჯვებული, შემოქმედი პედაგოგი სკოლას ხელმძღვანელობს. საახალწლოდ ვეწვიეთ 99-ე სკოლას და გავიცანით ახალი დირექტორი. გთავაზობთ მასთან საუბრის მოკლე შინაარსს.

***

ჩვენი სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა. საკუთარი სახსრებით შეკეთდა სახურავი, გარემონტდა 4 საკლასო ოთახი, აღმოიფხვრა ბევრი ხარვეზი, მოკლედ ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყველა მუშაკი **მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და თვალი ევროპული სტანდარტებისკენ უჭირავთ**. ამ მასშტაბურ საქმეში პედკოლექტივის მხარდამხარ დიდი წვლილი შეაქვთ ერუდირებულ, გამოცდილ, დირექტორის მოადგილეებს: **ნანა სოზაშვილსა** და **დარეჯან აბაშიძეს**. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს – **ეთერ კაპანაძეს**.

ყველა წარმატების თავიდათავი და გარანტი ხომ მაინც **ძლიერი პედაგოგიური კადრებია**. ამ მხრივ, სკოლას ნამდვილად აქვს საამაყო. თავად განსაჯეთ: ნახევარზე მეტი (37) სერთიფიცირებული პედაგოგი მოღვაწეობს. ამას ემატება დოქტორის ხარისხის მფლობელი მასწავლებელი – **ნინო ინწკირველი** და 1000 ლარიანი ხელფასის მქონე – **ფიქრია კიკნაძე**.

სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფს და მას უნარიანად უძღვება მისი თავმჯდომარე, ნიჭიერი მე-11 კლასელი **მარიამ ჭიღლაძე**.

ეფექტიანად უძღვებიან საგნობრივ კათედრებს გამოცდილი ხელმძღვანელები: ქართული ენა ლიტერატურისას – **თამარ ჯაბუშანური**, მათემატიკისას – **ლიანა ჭელიძე**, უცხოური ენებისას – **ნინო გაგილაძე**, დაწყებითი კლასებისას – **ნატალია კიკნაძე-ჭანტურია**, საზმეცნიერებისას – **ლიანა მებუკე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ნინო ყიფიანი**, ფიზიკური, შრომით-ესთეტიკური, ინფორმაციული ტექნოლოგიებისას – **მარინე კაკაბაძე**.

სანიმუშოა რუსული ენისა და გახანგრძლივებული წრეების საქმიანობა. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სწავლების ხარისხის ამაღლებაში დამხმარე **აქტივობას** წარმოადგენს გახანგრძლივებული ჯგუფის ნაყოფიერი მუშაობა.

მკითხველთა აქტივობის, წიგნის სიყვარულის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის ინტენსიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ამ კუთხით ქებას იმსახურებს გამოცდილი ბიბლიოთეკარის **იულია კამენცევას** ენერგიული მუშაობა.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, – გვასწავლის ბიბლია. მასწავლებლის ღვაწლი იმ შედეგებით ფასდება, რამდენი სწავლაში წარჩინებული, შემოქმედებით კონკურსში, ოლიმპიადებში ჯილდოდამშვენებული მოსწავლე ჰყავს.

ამ მხრივ კი ასეთი სურათი გვაქვს: დედაუნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ მოსწავლეთა ხელით **„ნაძვის ხის“** აწყობის კონკურსში პედაგოგ **ირმა ფრანგიშვილის** აღსაზრდელებმა თავი ისახელეს, ფეხბურთის **„კოკა-კოლას თასის“** ჩემპიონატში, ქობულეთში სკოლის გუნდმა **მე-3 ადგილი** მოიპოვა. მერიის კონკურსში **„მე მიყვარს თბილისი“** მოსწავლეთა გუნდი I ადგილზე გავიდა. კონკურსში **„რა? სად? როდის?“** გუნდური მე-2 ადგილი აიღეს. აქტიური იყო ჩართულობა **„თბილისობისა“** და **„ჯიპრაიდის“** პროექტებში. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაზე XII კლასელი **გიორგი ჭიღლაძე** საუკეთესო ოცეულში მოხვდა და ანაკლიის მოსწავლეთა ბანაკში დასასვენებელი საგზური მიიღო. მოსწავლეთა თვითმმართველობამ ბრწყინვალე საახალწლო კარნავალი მოაწყო. ნორჩ მოსწავლეთა საქართველოს კონკურსში შერჩეულ 16 მოსწავლეთა შორის **გაგა ჯღარკავა** და **ვლადიმერ დემურიშვილი** მოხვდნენ. ხელნაწერი წიგნების კონკურსში **„იაკობის საგანძური“** წიგნის ყდის მხატვარ-დეკორატორი მე-6 კლასელი **ლუკა მახარაშვილი** სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. ნახატების კონკურსში **„ჩვენი რეგიონის უნიკალური ტყე“ ანი ნატროშვილმა** და **მარიამ აბელიშვილმა** ეკობანკის საგზური და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურეს. საქართველოს **ეკოტურიზმის** კონკურსში იმარჯვეს ხელოვნების პედაგოგ **ირმა ფრანგიშვილის** აღსაზრდელებმა: **ანი წიტაიშვილმა, მარიამ ქარჩავამ** და **მარიამ მეგრელმა**. სკოლის დირექცია ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობას უცხადებს შემოქმედ პედაგოგს **ირმა ფრანგიშვილს**, ასევე კმაყოფილია მანდატურების: **ნინო ჩოკოლაშვილის**, **ნათია ჯაფოშვილის** და **თამარ ვერულავას** კეთილსინდისიერი საქმიანობით.

სკოლას აქვს პედაგოგიური, ინტელექტუალური რესურსი და მოტივაცია ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული ყველა მიზნის მისაღწევად.

ამ რესურსს სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, ენერგიული, შემოქმედი დირექტორის **ნინო მესხიშვილის** ხელმძღვანელობით უთუოდ მაქსიმალურად გამოიყენებენ და მაღალ შედეგებს მიაღწევენ სწავლა-აღზრდის ურთულეს საქმეში.

გილოცავთ შობა-ახალ წელს 99-ე საჯარო სკოლელებო.

დიდ გამარჯვებებს გისურვებთ! დაე, 2016 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული ოჯახის წევრად მიღების წელი ყოფილიყოს!

ესაუბრა ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ანა ჭელიძეს

მოდიოდა ნინო მთუბით

ლურგვ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში
ვარდნი ყვავოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის
მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღავოდნენ...
მოჰკითდა, ქარი ღრუბლებს
მოჰკითდა
და ფარავანს ტბასა ზედა
ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი
ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით ჰკვირდებოდა
უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას
თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
საქართველო არის ესე...
მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან
მოუჩრდილესო;
ო, ეს ვინ არი,
გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“ – ეუბნება იესო...
გაეღვიძა... წუთით იგრძნო
მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღავოდნენ...

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

აფხაზეთის მე-2 საჯარო — 20

დროის მხარდამხარ მხნედ მივდივართ

აფხაზეთიდან დევნილმა პედაგოგებმა ენით აუწერელ ტრაგედიას გაუძლეს, სულიერად არ გატყდნენ, არ დაიჩოქეს და სახალხო განათლების მშენებლობის საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ. საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების, შესაბამისი განათლებისა და კულტურის სამინისტროების დიდი ძალისხმევით ფუძეაყრილი ოჯახებისთვის თბილისში ოცი წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლას. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბატონ **დიმა ჯაიანისა** და ამავე სამინისტროს საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის **ნინო ლობჟანიძის** რეკომენდაციით გავეცანით იუბილარი სკოლის საქმიანობას. გამოცდილი, ერუდირებული პედაგოგი, სკოლის დირექტორი **ნანა ჯალალონია** გულთბილად გვესაუბრა მასწავლებლების საქმიანობაზე, სწავლებასა და აღზრდაში მიღწეულ შედეგებზე. გთავაზობთ ამ საუბრის მოკლე შინაარსს.

***

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლას ჰყავს შეკრული, ძლიერი, კვალიფიციური და პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი, რომელიც თანამედროვე პედაგოგიური მიდგომებით წარმართავს სასწავლო პროცესს. სკოლას ხელმძღვანელობს **ნანა ჯალალონია** (დოქტორანტი – სადოქტორო პროგრამა „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია); დირექტორის მოადგილე – **ხატია ხარებავა** (ბაკალავრი); მაგისტრი პედაგოგები: **სონია სონგულია** (ამაგდარი პედაგოგი), **ნანული ზარია**; **ნაირა გრიგოლაია**, **ხათუნა სილაგაძე**, **დალი ფირცხალავა**, **ქეთევან კვარაცხელია**, **ფლორა კვარაცხელია**, **ხათუნა სილაგაძე**, **ლელა თოდუა**, **ლელა შენგელია**, **ნანა ჟვანია**, **ნესტან ქარდავა**, **რუსუდან გოგიბერიძე** (დოქტორი). ბაკალავრები: **ჟანა ცხომარია**, **ინგა თოდუა**, **ირინე ჯოლოგუა**, **ზვიად ყალიჩავა**, **ხათუნა ფანცულაია**, **ლევან წურწუმია**, **გვანცა ხელაშვილი**, **ალეკო წურწუმია** (პროფ. სასწ). აქვე შევნიშნავთ, რომ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით სკოლის 8 პედაგოგს (**დალი ფიცხალავას**, **ხათუნა სილაგაძეს**, **ინგა თოდუას**, **ნანა ჟვანიას**, **ლელა თოდუას**, **რუსუდან გოგიბერიძეს**, **ქეთევან კვარაცხელიას**, **ლელა შენგელიას**) მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

სკოლის შარშანდელ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას.

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლამ ფეხი აუწყო თანამედროვე სწავლებას. მისი საგანმანათლებლო პოლიტიკა თანამედროვე მიდგომებს ეფუძნება. თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია კვლევა, შემეცნება, კრეატიულობა, ინოვაცია და ა.შ. გამომდინარე აქედან, ვცდილობთ მოსწავლეებს შევუქმნათ თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი სასწავლო გარემო.

სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, სხვადასხვა წრეები, ბიბლიოთეკა. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლა აღჭურვილია უსაფრთხოების მიზნით ვიდეოკონტროლის სისტემებით.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები, როგორც საგნის კათედრების, კლასის დამრიგებლების, თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი შემოქმედებით, შემეცნებით თუ სპორტულ ღონისძიებებში. სკოლაში ხშირად ტარდება სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად პედაგოგებიც იღებენ მონაწილეობას, ვიქტორინები, საჯარო ლექციები, ტრენინგები. მოსწავლეები სისტემატიურად მონაწილეობენ გამოფენებში, კონკურსებში, ოლიმპიადებსა და ინტელექტუალურ თამაშებში.

მუდმივად ტარდება თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ღია გაკვეთილები. აუცილებლად არის გათვალისწინებული – საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიები.

თანამედროვე ყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოლერანტობა.

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეების კონტინგენტს დევნილ მოზარდებთან ერთად, ინტეგრაციას.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა წერდა: **„ბოროტი არ იბადება არასდროს კაცი. მის გაბოროტებაში, გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე“**. ამ შეგონებას სწავლა-აღზრდის საქმეში მუდამ ვითვალისწინებთ. მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო თუ სკოლის გარეშე ღონისძიებებში. მშობელთა ჩართულობა ზრდის კომუნიკაციის ხარისხს ოჯახსა და მასწავლებლებს შორის, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ.

მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე სკოლის დაფინანსების წყაროებიდან ცხადია მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, თუმცა ასევე საგულისხმოა კერძო შემოწირულობები და მოძიებული სახსრებიც. სკოლის ფინანსური შესაძლებლობები არის გამჭვირვალე და მიმართულია სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.

ერთი სიტყვით, სკოლის ყველა პედაგოგი და მუშაკი მობილიზებულია მაღალი შედეგების მისაღწევად. ამისთვის ცოდნა-გამოცდილებას და ენთუზიაზმს არ იშურებენ.

P. S. აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს ვულოცავთ ახალ წელს. დიდი მიღწევები, ჯანმრთელობა და ულევი სიხარული დაგებედოთ ახალ წელს, დაე, დაუბეროს აფხაზეთში დაბრუნების ძლიერმა ზღვაურმა!

რომან მოსეშვილი

ხუთი წლის წინათ ვსტუმრობდი გლდანულაში ცეროდენების ამ წალკოტს. ხუთჯერ უფრო დამშვენებულა იგი. გარეთ და შიგნით მომხიბლავია 185-ე ბაგა-ბაღის იერ-სახე. ნახევარი ზამთარი გაილია. თოვლი მაინც არ ჩანს. მოუწყენიათ ეზოში გაჯერებულ კარუსელს, სასრიალოს, აიწონა-დაიწონას, აჩუ-აჩუ ცხენოს. ეს ყველაფერი – გარეთ. შიგნით კი ახალი წლის ზეიმია. ისევ ბრწყინავს, კოხტად მორთული „ნაძვის ხე“. ყველგან თოჯინები იცინიან.

ინფრასტრუქტურაზე ბევრს არ შევჩერდებით. იგი სანიმუშოდ მოწესრიგებულია. აქ ცუგრუმელები ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, არც სითბო-ალერსი აკლიათ და არც – დედობრივი მზრუნველობა. გახარებული არიან მშობლები.

ვინ არიან ამ დიდი სიკეთის შემოქმედნი? ვინ და – ბავშვებზე შეყვარებული, დიდად გამოცდილი დირექტორი **მაია გურგენიძე** და პაწიებზე მზრუნველი აღმზრდელები. არც სხვა თანამშრომლებს მიუძღვით ნაკლები წვლილი.

იშვიათად შეხვდებით თბილისის სხვა ბაგა-ბაღებში მეცნიერებათა დოქტორ დირექტორს.

თბილისის 57-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილ **მაია გურგენიძეს** კარგა ხანია გულმა ბავშვებისკენ გაუწია. აგერ უკვე მერვე წელი დაიწყო, რაც ამ ბაგა-ბაღს თავს ევლება და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს.

– რექტორად რომ მოვედი 5 ჯგუფი არსებობდა. დღეს თორმეტია, – განაცხადა დირექტორმა, – ბოლო წლებია ინტენსიურ დახმარებას ვგრძნობ მერიისგან. მადლობა სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას** ჩვენს ბაღზე გაწეული ამაგისთვის.

აქ თანამშრომელთა შეხმატკბილებული შრომა და საქმის ერთგულება სუფევს, რაც წარმატების

უთუო საწინდარია. ბაგა-ბაღი რომ ერთ-ერთი მოწინავეა და ასე ბრწყინავს, ამაში დიდი წვლილი ასევე მიუძღვით გამოცდილ, დაუზარელ დირექტორის მოადგილეს **ცირა მამულაშვილს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **ნონა გიორგობიანს**, შრომისმოყვარე, ერთგულ საქმისმწარმოებელ **ნინო ხუნწელიას**.

მეტად კოლორიტული პიროვნება გახლავთ მეთოდისტი **თინათინ ორდენიძე-თანდაშვილი**. იგი ბაგა-ბაღის სული და გულია.

თქვენ გაიხარეთ, 185-ე ბაგა-ბაღელებო!

თუ გინდათ სითბო და ალერსი...

ქალბატონი თინათინი ამავე დროს ბრწყინვალე საბავშვო პოეტი გახლავთ, იმდენად ბრწყინვალე, რომ მისი შემოქმედება აქტიურად არის ჩართული ცეროდენების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

– წელს ჩვენს საქმიანობაში პრიორიტეტულია განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**. ისაა ჩვენი მუშაობის ორიენტირი და ყველა აღმზრდელი ამ პროექტის შესასრულებლად თავს არ ზოგავს, – განაცხადა მეთოდისტმა.

დირექტორი ძალიან კმაყოფილია აღმზრდელების და მათი თანაშემწეების თავდადებული, ნაყოფიერი მუშაობით. მადლობითა და პატივისცემით მოიხსენიებს დიდად ნაღვაწ ამაგდარ აღმზრდელებს, ვინც ბოლომდე დაიხარჯა და გაჭაღარავდა პაწიებზე ზრუნვაში. მარჯვენა დაგელოცოთ თქვენ: **თინა თანდაშვილო, ნელი ლაბაძევ, დალი ჯამაგიძევ, თამილა გივიაშვილო, ქეთინო კობიაშვილო, ნინო ხუნწელიავ**. თქვენისთანა ღვაწლმოსილებს ძველად დამსახურებული პედაგოგის წოდებას ანიჭებდნენ.

ამათთან ერთად **მაია გურგენიძემ** მაღალი შეფასება მისცა აღმზრდელების: **ლია შტააძის, ლალი ჯავახიშვილის, თამარ ჩუბინიძის, თეა ბიგვავას, მარინე ქოქიაშვილის, ეკა დვალის, მანანა ბიბილაშვილის, მარიამ ხანიშვილის, მარიამ მჭედლიძის, ლია ჯანგველიძის, ელიზავეტა ბერულავას, თამარ კაკაბაძის, ეკა ბიწაძის**, თანაშემწეების: **მზია კასრაძის, თეონა ზურაბიშვილის, ელისაბედ ჩაჩანიძის, მზია კოზოლაშვილის, მაია გიორგობიანის, ლუბა კობაურის, მაია ნამგალაურის, ქეთევან მუმლაურის, თეა შტააძის, ხათუნა მაზმიშვილის, თამარ აზნაურაშვილის, ლალი ბიბილურის**, მუხლჩაუხრელ შრომას.

ბავშვთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენისთვის ბევრს ზრუნავს ექიმი **კესარია ჭუჭულაშვილი**. ბაღში ადაპტაციას გადიან ინკლუზიური ბავშვებიც, რომელთანაც ენერგიულად მუშაობს სპეცპედაგოგი **ლელა ბარბაქაძე**. გამოცდილი ლოგოპედი **ნატალია ბოცვაძე** კარგ შედეგებს აღწევს პატარებში სამეტყველო ხარვეზების აღმოფხვრის საქმეში.

იცით რამდენი ნიჭიერი, პერსპექტიული მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, დეკლამატორ-მსახიობი გვყავს ბაგა-ბაღში? ჰოდა, მათ სულს უფაქიზებენ და ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ გამოცდილი, ბრწყინვალე ხელოვანები: მუსიკის პედაგოგი **თამარ ხარაშვილი** და ცეკვის მასწავლებლები: **ეკა ბიწაძე** და **ნინო ასპანიძე**. რაც მომხიბლავი და ეშხიანი ღონისძიებები (შემოდგომის ზეიმი, საახალწლო კარნავალი, სკოლაში გაცილების ზეიმი და სხვა) ჩატარებულა, ყველა ამ პედაგოგების დამსახურებაა, რა თქმა უნდა, აღმზრდელებთან ერთად.

მათ შარშან სამი ჯგუფი სწავლისთვის კარგად მომზადებული ნიჭიერი ცეროდენა გააცილეს სკოლაში. წელსაც იმდენივეს ზეიმით დაულოცავენ გზას პირველი კლასისკენ.

ბოლოს, მადლობა ვუთხრათ კარგი მუშაობისთვის ბაგა-ბაღში მეტად პოპულარულ მუშაკებს. ესენი არიან გამოცდილი, გემოვნებიანი მზარეულები, გემრიელი, ყუათიანი, არომატული, ეკოლოგიურად ჯანსაღი კერძების ავტორები. ცუგრუმელებს შინ დედის გაკეთებულს ურჩევნიათ და მადიანად მიირთმევენ მზარეულ **ციალა სოლოღაშვილის** და მისი დამხმარეების: **ნატო ცინცაძის, თინათინ ქვირიას** და **ნატალია საცერაძის** მიერ გაკეთებულ საჭმელებს.

უკვე ახალ წელში შემოვდგით ფეხი და ვმოღვაწეობთ. მეგობრებო, წარმატებული ყოფილიყოს ეს წელი. ყველაფერი სიკეთე დაგბედებოდეთ, 185-ე ბაგა-ბაღელებო.

ბორის ხარებავა

გინდეთ სადისკუსიოდ!

წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც გადარია ცივილიზაციის ამ გიგანტურმა მონაპოვარმა. იგი მოსწავლის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა. ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ილიას სიბრძნე დაავიწყა, **„უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეაო“**, რომ ბრძანა.

ბიბლიოთეკებში იშვიათად ნახავთ წიგნებში თავჩარგულ მოსწავლეს, სტუდენტს. თუკი ვინმეს წააწყდებით, დისერტაციაზე მომუშავე მკვლევარია. მიმოიხედეთ ირგვლივ. ატყობთ: მომრავლდნენ სათვალიანი ბავშვები? მედალს ორი მხარე აქვს: კომპიუტერი კაცობრიობის ბედნიერებასთან ერთად თავის ტკივილიც ხდება.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის, მობილურის მნიშვნელობა-სარგებლიანობა არ გესმოდეს, მაგრამ ვერც რეალობას გაექცევი. ფსიქოლოგები, პედაგოგები, ექიმები ერთხმად ასკვნიან: კომპიუტერიდან მზამზარეულად მიღებულ ზღვა ინფორმაციას ღრმად ვერ ითვისებს ადამიანი, მითუფრო, მოზარდის ტვინი, თიშავს მას დამოუკიდებელი აზროვნებისგან, ძიებით მიღებული აღმოჩენის სიხარულისგან და ზერელე ცოდნას აძლევს. მარტივად რომ ვთქვათ, აზარმაცებს, ინტერესს უკარგავს. იოლად შეძენილი ცოდნა იოლად იკარგება. ყველამ იცის ანდაზა: **„ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“**. რაიმე ღირებული იოლად, ოფლმოუდენლად, თავის შეუწუხებლად ვის შეუქმნია. უეკლოდ მოკრეფილი ვარდი კი **„არა ღირდეს არცა ჩირად“**. პარადოქსია, მაგრამ დავფიქრდეთ: აამაღლა კი სადმე კომპიუტერმა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი? პირიქით ხომ არ მოხდა? **კომპიუტერი არ არის პანაცია. იგი ოდენ სწავლების დამხმარე, უმაღლესი ხარისხის ტექნიკური საშუალებაა**. ამიტომ, გამგები გაგვიგებს: რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერია: **„იგი ჭამდა და სვამდა ზომიერად“**. იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი რომელია? მაგრამ ლუარსაბი უზომოდ რომ მიეძალა **„დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“**.

ნუ გავიმეტებთ მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს დასაღუპავად. ვიღონოთ რამე! აპოკალიპსს არ ვხატავ. დღევანდელობის რეალობა-მოცემულობას თვალი და ჭკუა-გონება გავუსწოროთ. ექიმი, პედაგოგი, ფსიქოლოგი ერთად დავსხდეთ და გამოვნახოთ გამოსავალი. ამერიკისა და ევროპის სკოლებში კომპიუტერული რეჟიმი ზედმიწევნით მოწესრიგებულია. ჩემი აზრი ასეთია: წიწილასავით შეუბუმბლავ ექვსი წლის პირველკლასელს კომპიუტერს ნუ მივაჩეჩებთ, მისი გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ!

გამოგვეხმაურეთ, პრობლემის გადასაჭრელად თქვენი მოსაზრება გაგვიზიარეთ!

რედაქტორი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

აი, ასეთია ევგენია ჟორდანიას სახელობის 28-ე ბაგა-ბაღი

აქ ცერიდენებს მარგარეტ ტეტჩერი სტუმრობდა

„თითოეული ადამიანის ისტორია ბავშვობიდან იწყება... ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, თუ რა პირობებში იზრდება პატარა... მე ვარ ბედნიერი დედა, რადგან ჩემი შვილი დიდ სითბოსა და სიყვარულით სავსე გარემოცვაშია. მისი ყოველი დღე სავსეა სიხარულით, თქვენი ღიმილით და ზრუნვით.. მეამაყება რომ

ხართ ჩვენი ბაღის ხელმძღვანელი, შესანიშნავი დედა და საუკეთესო პიროვნება...“

ეს გახლავთ ამონარიდი ერთ-ერთი მშობლის წერილიდან, რომელიც თბილისის, ევგენია ჟორდანიას სახელობის 28-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს **მანანა ხეცურიანს** მისწერეს.. და ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი სამადლობელი სიტყვები გაჟღერებულა ქალბატონი მანანას მისამართით. როგორც თავად აღნიშნავს, ჩემი თვადაუზოგავი შრომა და ათწლიანი მოღვაწეობა ამ ერთი წერილის ფასად ღირდაო.

ამიტომაც არის, რომ მუხლჩაუხრელად შრომობს, რათა პატარების სამყარო იყოს ერთ-ერთი სანიმუშო, გამორჩეული და ნოვატორული. აქ პატარების აღზრდასა და მათ გონებრივ განვითარებაზე ზრუნავენ. იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები, რომელშიც ჩართულნი არიან არამარტო ბავშვები, არამედ ბაღის მთლიანი კოლექტივი. ერთი სიტყვით, ბაღში მუდამ ჟრიამული და შემოქმედებითი ფუსფუსია. ქალბატონი მანანას თქმით, მთავარი მიზანია: ჩაატარონ ისეთი შთამბეჭდავი ღონისძიებები, რომლებიც პატარებს მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ და სასიამოვნო მოგონებად გაჰყვებათ. აქ გამართულ ღონისძიებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: **„ფიროსმანი“**, **„ქეთო და კოტე“**, **„თბილისობა“**, **„მეკობრეები“**, სპორტული შეჯიბრი **„მხიარული სტარტები“**, **საახალწლო კარნავალი“** და სხვა მრავალი.

ბაღის შენობა შესანიშნავ მდგომარეობაშია, მოწესრიგებულია სველი წერტილები, გარემონტებულია სამზარეულო და დარბაზი... საბავშვო ოთახები და დერეფნები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ეზო კი, ნამდვილი ოაზისია, რომელსაც ამშვენებს მწვანე ნარგავები, დეკორატიული ნაძვები, ბანანის ხე, ვენახი, ბროწეული, სხვადასხვა ნარგავები. ასევე, აქვთ თონე, სადაც პატარების თვალწინ აცხობენ პურებს. წურავენ ყურძენს და ავლებენ ჩურჩხელებს, რაც პატარებს ძალიან მოსწონთ.

ერთი სიტყვით, ეს საბავშვო დაწესებულება გამოირჩევა პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერი დამოკიდებულებით. ბაღის მიღწევები კი, ბავშვებთან და პერსონალთან სწორი დამოკიდებულების შედეგია. აქ, მთელი კოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული და შეიძლება ითქვას, უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს.

აქაური მესვეურები, დიდი სიყვარულით იგონებენ აწ გარდაცვლილ ბაღის ყოფილ დირექტორს **ევგენია ჟორდანიას**, რომლის დიდი დამსახურებაა ამ დაწესებულების ავტორიტეტის მოხვეჭა. წლების წინ, როგორც სანიმუშო ბაღს, ინგლისის პრემიერი **მარგარეტ ტეტჩერიც** კი სტუმრობდა. ხოლო, ამავე ქვეყნის დედოფალმა **ელისაბედ მეორემ**, თავისი წარმომადგენელი აახლა აქაურობას და სარემონტო საშუალებებით (შპალერებით) ხელი წაუკრა მაშინდელ ხელმძღვანელობას. ეს მართლაც, დიდი პატივია და რა გასაკვირია, რომ ამ ფაქტით, თავს იწონებენ აქაური თანამშრომლები. ისინი ერთ გუნდად არიან შეკრულნი და კეთილსინდისიერად უძღვებიან თავიანთ მოვალეობას. ბაღის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ამჟამინდელი ხელმძღვანელი. **მანანა ხეცურიანი** არ ივიწყებს წინამორბედის ღვაწლს და დღემდე, თავის კაბინეტში **ევგენია ჟორდანიას** სურათს ინახავს.

მანანა ხეცურიანი: 28-ე ბაგა-ბაღი, ერთადერთი საბავშვო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც მინიჭებული აქვს ყოფილი დირექტორის, ღვაწლმოსილი პედაგოგის **ევგენია ჟორდანიას** სახელი. მართალია, მე მას არ ვიცნოდი, მაგრამ მის შესახებ ბევრი მსმენია და ჩვენი ბაღის წარმატებები მის სახელს უკავშირდება.

პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, ჩვენი ბაღი დედაქალაქში, პირველთა რიცხვში მოიხსენიება. ბაღში ამჟამად 500 ბავშვია, სულ 12 ჯგუფია და ერთადერთია, რომელმაც რუსული ჯგუფი შეინარჩუნა. ბაღს 55 თანამშრომელი ემსახურება. მთელი ჩვენი კოლექტივი მოწოდებულია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ღონისძიება გავმართოთ, პატარებს გავუხალისოდ ცხოვრება და მოწვეულ სტუმრებს სასიამოვნო შთაბეჭდილება შევუქმნად. ბაღში გამართულ წარმოდგენებს არაერთი საპატიო სტუმარი თუ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენელი დასწრებია. ერთ-ერთ ღონისძიებაზე, წყნეთის ბავშვთა სახლის მოსწავლეები დავპატიჟეთ. ასევე, მოწვეული გვყავდა სათნოების სახლის ხანდაზმულები, რომელთაც სადილით გავუმასპინძლდით. მოხუცებს, ბაღის თანამშრომლებისა და მშობლების ერთობლივი ძალისხმევით, ორი სატვირთო მანქანა სურსათ-სანოვაგე გავუგზავნეთ.

გვყავს მაღალკვალიფიციური აღმზრდელები, რომლებიც შესანიშნავად ზრუნავენ პატარებზე. როგორც კი რაიმე იდეას მივაწვდი, მაშინვე ცდილობენ მის განხორციელებას. ყველა ღონისძიება ერთმანეთისგან განსხვავდება. დარბაზის დეკორაციაზე თავად ვზრუნავთ, პიესის ავტორებიც ჩვენ ვართ და იმდენად კარგი სანახაობა გამოდის, მოწვეული სტუმრები აღფრთოვანებულები რჩებიან. ამჟამად, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის ვემზადებით.

ამას გარდა, ვცდილობთ, ბაღში ყველანაირი სიახლეები დავნერგოთ. ჩართულები ვართ **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“**. ფუნქციონირებს ინკლუზიური ჯგუფი. მაღალ დონეზე გავარემონტეთ სამზარეულო, ფსიქოლოგის ოთახი, რომელიც, მართლაც ჯადოსნური სამყაროა; ასევე, შევიძინეთ სხვადასხვა ინვენტარი და საბავშვო ლიტერატურა. შემოგვემატა ახალი კადრებიც, რომლებიც არიან პროფესიონალები და აქტიურად ჩაებნენ ჩვენს ფერხულში. დირექტორის მოადგილე **ნინო ყაველაშვილი** ახალი კადრია, მაგრამ თავის საქმის პროფესიონალი გახლავთ. მიყვარს ჩემი კოლექტივი და თითოეული ბავშვი, ეს ჩემი მეორე ოჯახია და მთელი გულით ვზრუნავ მასზე. ბაღი პოპულარობით სარგებლობს და აქ მოხვედრის მსურველთა რიცხვიც დიდია.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ბაღის დიასახლისის ის გულისხმიერი დამოკიდებულება, რომელსაც იგი ერთ-ერთი აღსაზრდელის **საშა სივცოვის** მიმართ იჩენს. იგი დედით ობოლია და ქალბატონი მანანა, ყველანაირად ცდილობს არ მოაკლოს მას დედობრივი მზრუნველობა, სიყვარული და სითბო. პატარა საშაც თავისებურ სითბოს გამოხატავს ქალბატონი მანანას მიმართ, ეხუტება, ეალერსება.. საშას, ასევე, განსაკუთრებით უყვარს აღმზრდელის თანაშემწე **ნათია ადეიშვილი**... სწორედ, ამიტომ **საშა სივცოვის** ბებია **ტატიანა ბიბილაშვილი** საჯაროდ უხდის მადლობას ბაღის კოლექტივს და განსაკუთრებით, დირექტორს გვერდში დგომისთვის, თანაგრძნობისთვის და ბავშვებზე განსაკუთრებული მზრუნველობისთვის.

...და ისევ, მადლიერი მშობლის წერილით დავამთავროთ:

„მართლაც, რამხელა ბედნიერებაა, როცა საკუთარ შვილს კეთილ ადამიანებს ანდობ. ეს კედლები, ძალიან დიდი სითბოთია გაჟღენთილი. დარწმუნებული ვარ, აქ გატარებული თითოეული დღე, სამუდამოდ დარჩება პატარების მეხსიერებაში. ღმერთმა მოგცეთ ძალა, რათა რაც შეიძლება მეტ პატარას გაულამაზოთ ცხოვრება და ამოგზაუროთ ზღაპრულ სამყაროში...“.

ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს მანანა ხეცურიანის ხელმძღვანელობით ზღვა სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებთ.

მზია გოგოძე

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ — 176-Ე ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲔᲚᲔᲑᲡ!

რატომ მოუხარიათ აქეთკენ ცეროდენებს?

აქ არაჩვეულებრივი სიყვარულით ეკიდებიან პატარებს. თავად ბაღის დირექტორი, **ირინე გოქსაძე** განსაკუთრებულ სიყვარულს და გულისხმიერებას გამოხატავს თითოეული აღსაზრდელისადმი. დამთავრებული აქვს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი კლასების პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტი. ახლახან გაიარა მენეჯმენტისა და ფსიქოლოგიის კურსები, მუშაობდა თბილისის 124-ე საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ასევე სამგორის რაიონის გამგეობაში არასრულწლოვანთა კომისიაში.

ბაღი იყო ავარიული, გაპარტახებული, ზამთარში თბებოდნენ შეშის ღუმელებით. კოლექტივის ერთიანობით და დირექტორის მონდომებით გაიყვანეს ცენტრალური გათბობა. მერიის თანადგომით გაკეთდა რემონტიც.

ბევრს აკეთებს ბაღის საკეთილდღეოდ დირექტორის მოადგილე **ლია ბაქრაძე**. იგეგმება: გარკვეული დროის შემდეგ ბაგა-ბაღს უნდა დაემატოს 2 ჯგუფი.

თავდადებით მუშაობს აღმზრდელთა გუნდი. ესენია არიან: **ხათუნა ავალიანი**, **ლიანა აკობია**, **მარინე ბახურაული**, **ბერიაშვილი ნინო**, **გოგოხია მანანა**, **თევდორაძე თეონა**, **მაჭარაშვილი ირინა**, **ქეთევან ნაცვლიშვილი**, **ნიკოლაძე შორენა**, **ჩაჩიბაია ცინარა**, **ცუცხუბაია ლელა**, **ცხადაძე მაია**, **ჯღარკავა ნინელი**, **მამუჩარაშვილი ნათია**, **ალადაშვილი სალომე**, **გიგაშვილი ეკატერინე**, **ბერძენიშვილი მაია** და მათი თანაშემწეები: **აბულაძე ნინო**, **დუმბაძე ეკატერინე**, **გიორგაძე ლეილა**, **გოდერძიშვილი ცირა**, **კოდიაშვილი ნინო**, **ლაზიაშვილი მარო**, **რატიანი ნანა**, **ტადევოსიანი ჯულიეტა**, **ჩიკვაიძე ლიანა**, **ალადაშვილი ეკა**, **ნოზაძე მარიამ**, **კვირკაშვილი სალომე**. ამათი კარგი მუშაობით კმაყოფილია დირექტორი, გახარებული არიან მშობლები.

სისტემატურად შემოაქვთ საკანცელარიო და სამეურნეო მასალა, მხატვრული ლიტერატურა და სათამაშოები. იგეგმება საინტერესო აქტივობები.

ეფექტიანად ხორციელდება **“სასკოლო მზაობის პროგრამა”** 5-6 წლიან ჯგუფებში, რომელიც ჯერ საპილოტე ვერსიადაა წარმოდგენილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **ინკლუზიურ სწავლებას**. საინტერესო ღონისძიებები ჩაატარეს აღმზრდელებმა:

მარინე ბახურაული, **ბერიაშვილი ნინო**, **გოგოხია მანანა**, **თევდორაძე თეონა**, **მაჭარაშვილი ირინა**, **ქეთევან ნაცვლიშვილი**, **ნიკოლაძე შორენა**, **ჩაჩიბაია ცინარა**, **ცუცხუბაია ლელა**, **ცხადაძე მაია**, **ლია აკობიამ** – ღია მეცადინეობა თემაზე – **„პროსოციალური ქცევები“**, თეონა თევდორაძემ – **„მე და ჩემი სხეული“**, ეკა გიგაშვილმა – **„როგორ სახლებში ვცხოვრობთ?“**, მანანა გოგოხიამ – **„ჩემი უბანი“**, შ. ნიკოლაძემ – **„როგორ ქმნიან ნივთებს?“** და ა. შ.

ნიჭიერი თაობა აქტიურად არიან ჩართულები საზეიმო შემოქმედებით ღონისძიებებში, რომლებიც სისტემატურად ტარდება. ყველას ვერა, მაგრამ გაგაცნობთ ზოგიერთ ნიჭიერ ცეროდენა მომღერლებს, რომლებიც მუსიკის მასწავლებლის **თამარ ჭოლაძის** ხელმძღვანელობით ლამაზი ხმებით ამკობენ ყველა დღესასწაულს. ასეთები არიან: **ნინო მორგოშია**, **გიორგი ფურცხვანიძე**, **ლიზი ხაჩიძე**, **ბარბარე გოგსაძე**, **დავით ჯულაყიძე**, **თორნიკე სიჭინავა**, **სალომე მაისურაძე**, **ნინიკო პავლიაშვილი**, **ანასტასია წყაროზია**, **ლიკა გასპარიანი**, **ეთო პიტიურიშვილი**, **ელენე ნათენაძე** და **ელენე ბაგაური**. ცეკვის პედაგოგის **მაგდა ბენიძის** ხელმძღვანელობით ასრულებენ ულამაზეს ცეკვებს: **მარიამ ზარიძე**, **დაჩი ქინქლაძე**, **გვანცა გიგაშვილი**, **დათო შარიფაშვილი**, **თეკლა ჯიქია**, **ელენე ტაბატაძე**, **ლიზი** და **ლაზარე ჭოტაშვილები**, **მარი მარტიაშვილი**, **სანდრო** და **თეკლა ჭინჭარაძეები**, **დემეტრე გელაშვილი**, **ანზორი ბრეგვაძე**, **მარი ლიპარტაშვილი**, **ანა ჟიჟილაშვილი**, **ანასტასია ხუჭუა**, **გიორგი ხუჭუა**, **მარიამ ჯულაყიძე**, **მარიამ ტყემალაძე**, **ქრისტინე ლემონჯავა**, **ნიკოლოზ ჭინჭარაძე**, **მათე გოგინაშვილი**, **თეკლა გოგინაშვილი**, **გაბრიელ რომანოვი**, **გიორგი ტყემალაძე**, **სესილი ჯახია** და **ლუკა გვინდაძე**. ბაღში ჰყავთ აგრეთვე ნიჭიერი მხატვრები: **ლიზი რეხვიაშვილი**, **ანა ჟიჟილაშვილი** და **ბარბარე ირემაშვილი**, ასევე მხატვრულ კითხვაში გამორჩეულები – **საბა ჭიოკაძე**, **მარიამ ქურთიაშვილი** და **დანტე-გაბრიელ მუჯრიშვილი**. ბაღში ჰყავთ პატარა სპორტსმენები: **ანასტასია ხირიანოვა** და **მარიამ სიჭინავა**.

ხშირად ეწყობა ექსკურსიები მარკეტებში, კინოთეატრებში. მშობლები მეტად კმაყოფილი არიან ბავშვთა კვებით. ცეროდენებს ძალიან მოსწონთ მზარეულ **მარინე ჯინჭარაძის** და მისი თანაშემწე **ლეილა ნავროზაშვილის** გაკეთებული კერძები.

მშობლებთან ურთიერთობა ხდება ყოველდღიურად. მათი თანამშრომლობა სანიმუშოა. ბევრს მუშაობს პაწიებთან ფსიქოლოგი **მარინა კაპანაძე**, ბაღში ჰყავთ 4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომლებიც გარემოცული არიან მზრუნველობით. კოორდინატორები **ნაილი კუბლაშვილი** და **მარინე სოფრომაძე**, მთელ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს მეტად შედეგიანად უძღვებიან. მეთოდისტი – ქალბატონი **მარინე მეტრეველი**, მშობელი და ფსიქოლოგი ერთობლივი შრომის შედეგად ცდილობენ ბავშვებს გაუადვილონ სწავლა, თამაში და ურთიერთობები. დიდ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებს საქმისმწარმოებელი ქალბატონი **ქეთევან მსხვილიძე**. ბაღში სისუფთავის დაცვას ემსახურებიან **მარინე კობახიძე** და **ნელი დორეული**. ბაღის უსაფრთხოებაზე კი ზრუნავს დარაჯი – **შმაგი ჭკადუა**. აქტიურია ბაღის მუშაკი – **გიორგი მაისურაძე**.

ბაღის ადმინისტრაცია, დირექტორი ქალბატონი **ირინა გოგსაძე** უპირველესად დიდ მადლობას უხდის თავის კოლექტივს იმისთვის, რომ ისინი ერთ გუნდად შეკრული აკეთებენ ძალიან დიდ საქმეს. ასევე, ბაღების სააგანტოს და მის ხელმძღვანელს **თემურ თორდინავას** თანადგომისთვის.

აი, რატომ მოუხარიათ ამ ბაგა-ბაღში ცეროდენებს და მათ მშობლებს.

ახალ წელს გილოცავთ. ბედნიერება დაგებედოთ, 176-ე ბაგა-ბაღელებო!

ᲜᲐᲜᲐ ᲤᲘᲤᲘᲐ

სალამი 204-ე ბაგა-ბაღელებო!

დედოზრიპი ზრუნვა-ყლერსი ვუდაე თქვენთანაა

თითქმის არაფრით ჰგავდნენ ისინი თვალის ჩინდაკლებულთ, ნაძვის ხის გარშემო დანავარდობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს კითხულობდნენ.

მეტრო „ვაჟა-ფშაველასთან“ მდებარე ამ ბაგა-ბაღის იერ-სახე გარეთ და შიგნით მომხიბლავია, დღითიდღე მშვენდება იგი. აქ ცეროდენებისთვის ნამდვილი ზღაპრული სამყაროა. პატარებიც

და მათი მშობლებიც ძალიან კმაყოფილი არიან და სწორედ ესაა მთავარი. ეს შემოქმედი დირექტორისა და გამოცდილი შრომისმოყვარე აღმზრდელ-თანამშრომლების დიდი დამსახურებაა.

ლეილა მერკვილაძე ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, ამ სისტემაში 40 წელზე მეტხანს ნამოღვაწარი, ერუდირებული ხელმძღვანელია. მას პედაგოგიურ გამოცდილებასთან ერთად სამუსიკო სასწავლებელიც აქვს დამთავრებული და ამ დარგის სპეციალისტია.

ჩვენი ბაგა-ბაღი ასე რომ მოგწონთ, ჩვენს თანამშრომლებთან ერთად დედაქალაქის მერიის და კერძოდ, ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** დიდი დამსახურებაა. მათი დახმარებით პატარების სწავლა-აღზრდისთვის სანიმუშო პირობებია შექმნილი, – ასე გამოხატა მადლიერება დირექტორმა.

ყველგან სილამაზე და სისუფთავე სუფევს. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. დერეფანში მოგვხიბლა ცეროდენების ნახატების გამოფენამ.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი შეაქვს გამოცდილ დირექტორის მოადგილეს – **მარინე ჯინჭარაძეს**. მის საქმიანობას მაღლი შეფასება მისცა ქალბატონმა ლეილამ.

ბაგა-ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სული და გულია შემოქმედი მეთოდისტი **ხათუნა გიგაური**. იგი ბევრს მუშაობს აღმზრდელებთან და ბევრი სიახლის, საინტერესო ღონისძიების ინიციატორია. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**.

შარშან სკოლისთვის კარგად მომზადებულ სამ ჯგუფს საზეიმო ვითარებაში გზა დაულოცეს პირველი კლასისკენ. თავიანთი აღსაზრდელების ნიჭიერებით, სიმკვირცხლით, უნარ-ჩვევებით გახარებული იყვნენ აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **ნინო მეტივიშვილი, მარინე ხუჭუა, მარი ხელისუფალი, ლენა კლდიაშვილი, ლელა კაპანაძე, თინათინ თათარაშვილი, გულიკო რაზმაძე** და **მარინე ბადურაშვილი**.

აქვე გვინდა მარჯვენა დავულოცოთ და მადლობა ვუთხრათ სხვა აღმზრდელებს ღვანლის, ამაგის და დამსახურებისთვის, – დირექტორის ამ სიტყვების ადრესატები არიან: **მანანა თავაძე, ნათელა ჯანგირაშვილი, მარინე ლეჟავა, მარინე მეხრიშვილი, თამარ თალაკვაძე, მერი გოგოჭური, ნანა ჯორჯიაშვილი, მარიამ საყვარელიძე, ლალი ქავთარაძე, მაია ჭიპაშვილი, ანა ნუცუბიძე, მარინე ბადურაშვილი, ქეთევან მაისურაძე, ლია იაშვილი, მადონა ტაბატაძე, ნუნუ ამურველაშვილი, ნინო ტაბატაძე, ელენე არსენიძე, ნინო ჭეიშვილი**. კოლეგები განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ ღვაწლმოსილი **რუსუდან ხუციშვილის** მიმართ.

ბაგა-ბაღის მჩქეფარე ცხოვრება წარმოუდგენელია ისეთი შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობით აღჭურვილი მუშაკების გარეშე, როგორიც არიან: სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნინო შარმიაშვილი** და საქმის მწარმოებელი **თინათინ ჩახუნაშვილი**.

ნაყოფიერი მუშაობისთვის დირექტორი მადლობას უცხადებს მედიცინის გამოცდილ მუშაკებს, ჯანმრთელობა-ჰიგიენის კოორდინატორ **მაია გოლიაძეს** და თვალის ექიმს **ლუიზა ცომაიას**.

ცეროდენებთან შედეგიანად მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები: ფსქიოლოგი **ნანა გოგოლაძე**, ლოგოპედი **ეკა რობაქიძე**.

ქებას იმსახურებს სპეცპედაგოგის **ნაიდა კალმახელიძის** მონდომება და საქმიანობა.

ორმოცი წელია ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებს, ცეროდენებს სულს უფაქიზებს, მათ ხელოვნების სიყვარულს უნერგავს დამსახურებული პედაგოგი მუსიკისა **დალი დადიანი**. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ცეკვის ცნობილი მასწავლებლის, სახელგანთქმული ანსამბლ „ერისიონის“ წევრის **ნინო ვა-**

შაკიძის მისამართით.

ცეროდენებსა და მათ მშობლებში, ასევე მთელ ბაგა-ბაღში პოპულარობა დიდი ხანია მოიხვეჭეს ღვაწლმოსილმა, საქმის სიყვარულით მკეთებელმა, გემოვნებიანმა მზარეულმა **ია სარიშვილმა** და მისმა დამხმარეებმა: **ნონა კიზირიამ** და **დოდო ელბაქიძემ**. ქალბატონები ნონა და დოდო ნახევარი საუკუნეა ამ საქმეს ერთგულად ემსახურებიან.

ზემოთ ვთქვით, ყველგან სისუფთავე სუფევსო, ეზო-გარემოს იერ-სახე მომხიბლავიაო. ბავშვები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლშიო. დიახ, ასეა და ყოველივე ამის შემოქმდნი დორექტორმა **ლეილა მერკვილაძემ** გულთბილი სიტყვებით, მადლობის გრძნობით მოიხსენია. ესენი კი გახლავთ: დამლაგებლები – **ნუნუ დეისაძე, ნანი მალანია, მანანა კოპალეიშვილი, ეთერ გორგიაშვილი**, მუშა **აშოტ პეტროსიანი**, დარაჯი **თამაზ აფციაური** და **მერაბ თიგიშვილი**, მებაღე **ნანი კოლხიტაშვილი**.

საახალწლოდ კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა ამ ბაგა-ბაღზე. მოდით ეს შემდეგისთვის იყოს!

შობა-ახალ წელს ზღვა სიხარული დაგებედოთ!

მაია მიშველაძე

უფრო ხშირად გავიცინოთ!

გაუმარჯოს „ბუაკიანებს“

მოდა კაცობრიობის ცხოვრების წესგემოვნებას განსაზღვრავს. ზოგი სწრაფწარმავალია, ზოგი კი – უფრო მედეგი. მაგალითად, გახეხილ-გამობდღვნილი ჯინსის შარვალი ახლაც მოდაშია, მაგრამ ქალების მიერ საჯაროდ გამოჩენილი ჭიპები მალე დაიმალა.

მეზობლის მეექვსეკლასელმა ლიკამ გუშინ ახლთახალი ჯინსის შარვალი იყიდა. მეორე დღეს მუხლებთან გახეხილ-გაფხრეწილი რომ ვუნახე, ვკითხე: ასე მალე როგორ დაგეხა, ლიკა? – მოდაა, ბიძიაო, – მიპასუხა.

მოდა გემოვნების საკითხია და გემოვნებაზე არ დაობენო, – ყველა ამას გაიძახის. სწორია, მაგრამ რაც არ გიხდება და მაინც ბაძავ, ესაა სწორედ **უგემოვნო გემოვნება**. შეიძლება ამით სასაცილო მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდე, აბა, რახან ქალებისთვის შარვალი მოდაში შემოვიდა, წარმოიდგინეთ ლუარსაბის დარეჯანივით სქელუა ქალი კუპატივით შარვალში ჩამჯდარი ქუჩაში რომ „**მოგგმანობდეს**“.

ღმერთმა და ბუნებამ ქალის სამშვენისად **კაბა** გააჩინა.

მოდით, დღეს მოდად მოდებულ მოდაზე, კერძოდ, **წვეროსნობაზე** ვისაუბროთ.

წვეროსნობა წარამარა მოდიფიკაციას განიცდის, ვისაც არ უხდება წვერი, მასზე ეცინებათ.

ელიზბარ ჯაველიძე ასეთებს „**ვაცი-წვერას**“ ეძახის. რეზო ამაშუკელმა დარჩიაშვილი **შოკოლადით** სახემოთხუპნულ ბავშვს შეადარა.

რა პანდემიასავით გავრცელდა, კაცო, ეს „**წვეროსნობა**?“ მეათეკლასელი მოსწავლეები შემხვდნენ, სახეზე ოდნავშესამჩნევი ღინღლები გაეპარსათ, მალე კუპრივით შავი წვერი ამოგვივაო. არსენა გამახსენდა, ის მხნე არსენა, რომელმაც „რომ შეიქმნა თექვსმეტი წლის, **ულვაშები** დაიმშვენა“ და არა – **წვერები**.

ერთ დროს მოდაში იყო **„ბაკენ-ბარდები“**, შემოკლებით **„ბაკები“**, ფილმ **„ჰუსარულ ბალადაში“**, ჯარისკაცებს რომ აქვთ, ისეთი. ცხონებული **ჰამლეტ გონაშვილი** ატარებდა ასეთ „**ბაკებს**“, **თამაზ კვაჭანტირაძეც** ატარებდა, მომღერალი – **სეფერთილაძეც,** მაგრამ მათ ხომ ეს შვენოდათ?

„ბაკები“ **„ბლანჟემ“** შეცვალა. **„ბლანჟეს“** მეგრულად **„ბუაკეს“** ეძახიან. მოდით, ეს ტერმინი ვიხმაროთ, ფონეტიკურად ასე უფრო კარგად ჟღერს.

აი, სულ ახლახან ახალი მოდიფიკაციის **„ბუაკე“** გავრცელდა, როგორია იგი ვიზუალურად? კარგად მომისმინეთ: შარშან ერთ-ერთ არხზე იუმორისტული გადაცემა მიჰყავდა ერთ ტელეჟურნალისტს, თავითა და ტანით ბურთივით მრგვალს. არც თავზე, არც სახეზე ბალნის ნასახი არ ჰქონდა, ოღონდ ნიკაპთან დაწყებული საულვაშეს ჩათვლით ცხენის ნალის მსგავსი შავი ბალანი ჰქონდა აკრული, თითქოს გრიმიორს მიუწებებიაო. გრიმი არ გეგონოთ. ნამდვილი თმა იყო – ასე ჰქონდა გაპარსული.

მოდით, ასეთებს **„ნიკაპნალამოკრულები“** დავუძახოთ. უფრო კარგად რომ წარმოვიდგინოთ, აგერ არა გვყავს ჩვენი **ნასარიძე**?

ასეთი **„ბუაკე“** ახლახან არ ამოიკრა **ნიკო გვარამიამ**? აზღარბული ქოჩორიც დაიყენა.

განათლების მუშაკთა შორის ამ მხრივ პირველობის პალმას **სიმონ ჯანაშიას** ვერავინ შეეცილება. მას მიბაძეს მინისტრებმა, **ნოდიამ, შაშკინმა, მარგველაშვილმა.**

გია, გახდა თუ არა პრეზიდენტი, მაშინვე შეელია ნალის „**ბუაკეს**“, მაგრამ **კახი კალაძე** უფრო „**მდგრადი**“ აღმოჩნდა, მიუხედავად ერთი სიმპათიური ქალბატონის მიერ მისი „**ბუაკის**“ საჯაროდ დანუნებისა.

მუდამ პირწმინდად წვერ-ულვაშ გაპარსული ცნობილი ფოტორეპორტიორი **ჯემალ კასრაძე** მოულოდნელად თეთრწვერმოსილი მოგვევლინა. – ალბათ, **გია ხუხაშვილს** მიბაძეო, – შევეხუმრეთ მე და **პავლე მურადაშვილი**. – არა, კაცო, გაპარსვა დამეზარაო. მეორე დღეს წმინდად გაპარსული მოვიდა.

ერთი თვის შემდეგ ისევ **გია ხუხაშვილს** დამსგავსებოდა. გიას ძალიან გავხარო, – ისევ გავეხუმრეთ. თავადაც ხუმრობით გვიპასუხა: ნეტავი, მართლა ვგავდე **გია ხუხაშვილსო**, იგი ფულიანი კაცია, მე კი უფულო ვარო.

დიახ, კაცია და გუნება. გაუმარჯოს „ბუაკიანებს!“

მოდისმოყვარე **მოსე მწერალი**

ამ მრავალმხრივი ნიჭის პატრონი მალე ოთხმოცი წლისა გახდება. სანამ იუბილეს აღნიშნავდეს, მინდა დავასწრო და მის კალმით ნამოღვაწარზე მკითხველს ვესაუბრო. **ტარიელ მუმლაძე**, უპირველეს ყოვლისა, ცნობილი პედაგოგია. თავისი ცხოვრება ამ კეთილშობილურ საქმეს შეალია. ამის შემდეგ კი გახლავთ ჩინებული პოეტი პროზაიკოსი, მეცნიერი, ჟურნალისტი. ორმოცდაათზე მეტი წიგნის ავტორია იგი და ყველა მის ნაკალმარში, მხატვრულსა თუ მეცნიერულში, პედაგოგიური აზრი ტრიალებს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: ისეთი ლექსი უძღვნა ბავშვების სათაყვანებელი იაკობ გოგებაშვილის **„დედაენას“**, კლასიკურ ნიმუშებს რომ არ ჩამოუვარდება. აბა, წაიკითხოთ! **„პირველკლასელებს“**: **„დედა ენა“ – სიბრძნის წიგნი, ბევრ სიკეთეს გპირდება. მას ყოველთვის დედასავით მოფერება სჭირდება. შესწევს ძალა წაგიკიდოს სიყვარულის ალმური და წვეთ-წვეთად ჩაგაწვეთოს სიტკბო შენი მამულის, დედა ენა – შვების წყარო, წარსულს ახლით ამთელებს, ამ განძს თუ არ გაუფრთხილდი, ისე ვერ იქართველებ“.** აბა, დაუკვირდი მკითხველო და განსაჯე, დღეს, როცა ასე უტევენ ჩვენს ენას, მამულს, სარწმუნოებას, ეროვნულ ღირებულებებს, გადამთიელი და ადგილობრივი მოღალატეები, როცა სკოლაში არ ასწავლიან რაფიელ ერისთავის **„სამშობლო ხევსურისას“**, როგორი პატრიოტული ჟღერადობა და წონა აქვს ამ პოეტურ სტრიქონებს.

ტარიელ მუმლაძე გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი და ადამიანთა უფლებების დაცვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, 53 წიგნის ავტორი პოეზიასა და პროზაში, ისტორიასა და მათემატიკაში, რელიგიასა და დრამატურგიაში, შრომის დაცვასა და პოლიტიკაში.

განათლების სამინისტროს გრიფით მისი რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელო იყო შესული საჯარო სკოლაში. მისი ყველა წიგნი აქტიურად ეხმაურება ჩვენი ქვეყნის ყველა ისტორიულად სასიცოცხლო მოვლენას, აღვივებს და აძლიერებს პატრიოტულ სულისკვეთებას.

ამ კუთხით თუ მივუდგებით, არ შემიძლია არ დავასახელო: **„მიძღვნილი ლექსები“, „ნოველები“** (განვლილი გზების ისტორია), **„შოთა რუსთაველის ვინაობის კონტურები“, „ქართველ მეფეთა ქრონოლოგია“, „სამი თავგადასავალი“, „პატრიოტული პოეზია“**, აფხაზეთის ტრაგედიაზე დაწერილი მაღალმხატვრული რომანი **„ქალი – ენგურს იქით“** და სხვა მრავალი.

გასაოცარია 80 წლის კაცის ასეთი ენერგიულობა და შრომისმოყვარეობა. მისი ცხოვრების დევიზად გამოდგება **შოთა ნიშნიანიძის** სტრიქონები: **„ვიყო ხარივით ძლიერი, ვიყო ხარივით მომთმენი, ჩემი პატარა ერისთვის მეც შევძლო ხარისოდენი“**.

სულ ახლახან გამოსცა სქელტანიანი, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი **„საოცრებათა სკივრი“** – წიგნი მესამე. მიაქციეთ ყურადღება – მესამე ტომი.

წინასიტყვაობაში ნათქვამია: **„აქ თავმოყრილია მთელი რიგი საოცრებანი, რომლებიც ხდებოდა არამარტო დედამიწაზე, არამედ – კოსმოსშიც. ეს წიგნები მკითხველს მსოფლიოს მთელ რიგ მოვლენებს გააცნობს“.**

ჩვენ საკომენტაროდ არაფერი დაგვრჩენია. მხოლოდ ის, რომ წარმოგიდგინოთ საინტერესო წერილების ჩამონათვალი. ესენია: **„ქართველთა დამაქცევარნი“** (მიხეილ სუსლოვი, ჯალათები საქართველოს თავზე), **„ადამიანთან დაკავშირებული საკითხები“, „გაფრთხილება“, „ებრაელები საქართველოში“, „ბედის ბორბალი ტრიალებს“, „ისტორიული ინფორმაციები“, „მეტი ყურადღება ახალგაზრდობას“**. ყველგან დაუნჯებულია ენციკლოპედიური ცოდნა და მისგან მკითხველი ბევრ სასარგებლოს შეიმეცნებს.

როგორც მკითხველმა, მინდა დიდი მადლობა მოვახსენო მწერალს და საზოგადო მოღვაწეს **მერაბ მოდებაძეს** კეთილსინდისიერი რედაქტორობისათვის.

უნებურად გრიშაშვილის სტრიქონები გამახსენდა: **„დავბერდი? არა! ლექსების სამოსს დაჰკრავს სურნელი საუკეთესო, ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს, სულზე უტკბესო?“**

დიდი სიყვარულისა და კაცური კაცობის მატარებელ **ტარიელ მუმლაძეს** ვერაფერი დააბერებს.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

პედაგოგის კალმით ნამოღვაწარი

წიგნი – ენციკლოპედია „საოცრებათა სკივრი“

ტარიელ მუმლაძე



ახალი გაზეთის დაბადება

მედიასივრცის ფენაძენი

მედიასივრცეს ახალი გაზეთი შეემატა – საახალწლოდ გამოვიდა **„ლიტერატურული „კათარზისის“** პირველი ნომერი. ეს მშვენიერი დებიუტანტი თბილისის სახელოვანი სათნოების სახლის „კათარზისის“ ბინადართა სულის გამფაქიზებელი და ქომაგია. „კათარზისი“ კი ქველმოქმედი ორგანიზაცია გახლავთ, რომელიც დიდი ხანია ბენეფიციარებს – წარსულში საქვეყნოდ ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვანებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სიბერის მძიმე ტვირთს უმსუბუქებს, ხალისსა და მხნეობას მატებს, აგრძნობინებს მათ, რომ არ არიან გარიყულნი. **„ლიტერატურული „კათარზისის“** მიზანია ამ დამსახურებულ ადამიანებს სულიერი საზრდო მიაწოდოს, სიცოცხლე გაუხანგრძლივოს და გაუხალისოს.

ახალდაბადებულს ცხოვრების გზას დაულოცავენ ხოლმე. **„კარგი დასაწყისი ნახევარ გამარჯვებას უდრისო“**, – წერდა მიხეილ ჯავახიშვილი.

ამჯერად გაზეთმა ჩინებული სტარტი აიღო. აშკარად ატყვია მას პროფესიონალთა მადლიანი ხელი. კოხტად და ზუსტად აქვს მორგებული სლოგანი, ანუ დევიზი ცნობილი პედაგოგის, მწერლისა და მეცნიერის **ტარიელ მუმლაძის** ლექსიდან **„ხანდაზმულობა არის შედევრი“** – მხატვრული ფრაზა: **„უფლის ჯილდოა სიბერის წლები“**.

ბარემ აქვე გავიცნოთ გაზეთის შემოქმედებითი გუნდი: მთავარი რედაქტორია **ტარიელ მუმლაძე**, რედაქტორი გახლავთ **ლუიზა გივიშვილი**, რედკოლეგიის წევრები არიან: **ზ(ო) ალადაშვილი, ტ. მუმლაძე, ლ. გივიშვილი, ნ. მუმლაძე, გ. ბუთხუზი, ქ. ბანდუკაშვილი**.

თვალი გადავავლოთ გამოქვეყნებულ მასალებს: **„საახალწლო მილოცვა“, „გივი ბუთხუზის წიგნის პრეზენტაცია“, „ხანდაზმულებმა გაიხარეს“, „60 წელი წიგნების საუფლოში“** (ეძღვნება დამსახურებულ ბიბლიოთეკარ **ლილი გორდელაძეს**), **„ქეთინო ბანდუკაშვილის ლექსები“, „გული არა ბერდება“, „მრავალმხრივი მოღვაწე“** (ილია ნიშნიანიძე), სოხუმიდან ლტოლვილ **ლილი გადელიას „ასეთი მინდა მახსოვდეს“, „ტარიელ მუმლაძის ლექსები“, „ზაურ კვიტიას გამონათქვამები“, „ქორწინება ქართულად“, „ფელეტონი“, „გავიღიმოთ“** და სხვა საინტერესო მასალები, მკითხველო, თქვენ სასიამოვნო წარმოდგენას შეგიქმნით პირველ ნომერზე, აქედანვე სიმპათიით განგაწყობთ. გვხიბლავს ჟურნალისტ **ლუიზა გივიშვილის** ოსტატობა და პროდუქტიულობა. ზღაპრული ამირანი ერთი დღისა – ერთი კვირისას გავდა. ერთი კვირისა – ერთი თვისას, ერთი თვისა – ერთი წლისას.

მივესალმებით **„ლიტერატურულ „კათარზისს“** და „ამირანის ტემპით“ დავაჟკაცებას ვუსურვებთ!

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

ეს წიგნი პედაგოგმა დაწერა

გულით ნათქვამს რა შეედრება?

დედაშვილობაც ასეთი უნდა! პედაგოგ და პოეტ დედას 70 წლის იუბილეზე შვილმა ძვირფასი საჩუქარი უძღვნა – გამოიცა საბავშვო ლექსების წიგნი **„ივერთმხარე დამილოცეთ!“**

ეს ბედნიერი დედა გახლავთ თბილისის 185-ე ბაგა-ბაღის მეთოდისტი **თინათინ ორდენიძე**. ბავშვებზე რომ უზომოდ შეყვარებულია, მისი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს: **„ორმოც წელზე მეტია ვემსახურები სკოლამდელთა აღზრდის საქმეს. 20 წელია ამ ბაგა-ბაღის მეთოდისტი ვარ“**. ეს რომ ასეა, ადვილად დარწმუნდებით, როცა ამ წიგნს გულდასმით წაიკითხავთ. უფრო ადრეც, 60 წლის იუბილეზე ქალბატონმა თინათინმა ცუგრუმელებს აჩუქა ბრწყინვალე კრებული **„გულით ნათქვამი ლექსები“**.

„ივერთმხარე დამილოცეთ!“ პირობითად შეიძლება დავყოთ „სადიდო-პატრიოტულ“ და საბავშვო ნაწარმოებებად. რა თქმა უნდა, წიგნში ცეროდენებისთვის დაწერილი ლექსები ხუთჯერ მეტია, და თემატურადაც ფურო მრავალფეროვანია. აი, რუბრიკები: **„ჩვენ და ჩვენი ბავშვები“, „წელიწადის ოთხი დრო“, „წელიწადის თორმეტი თვე“**. გვაქვს საზეიმოდ ბავშვებისთვის როლებში სათამაშოდ შექმნილი ლექსებიც, **„გამოცანები“, „კარგი რჩევები“** – აი, თუნდაც ასეთი: **„მეზობლის ბიჭს წავეჩხუბე, არ იკითხავთ მერე რისთვის? ჩემი ბურთი მოუპარავს, მიუცია მერე სხვისთვის. ბურთი კი არ მენანება, მაგრამ მინდა ვუთხრა თედოს, რომ ქურდობა ცუდი არის და მეორედ არ გაბედოს!“**

აქ იმდენი ერთმანეთზე უკეთესი, **„დედაენაში“** შესატანი ლექსია, ვინ ჩამოთვლის. წიგნის სიდიდე რომ აღიქვათ, საჭიროა, თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ. ამ ბაგა-ბაღში სხვა საბავშვო პოეტების წიგნები თითქმის საჭირო აღარაა. საზეიმო ღონისძიებების დროს ცეროდენები ქალბატონი თინათინის შერჩეულ ნაწარმოებებს მხატვრულად კითხულობენ, ინსცენირებას დგამენ.

ამ წიგნის ვრცელ ანალიზს ამჯერად ჩვენ ვერ შევძლებთ, მხოლოდ საინფორმაციო ფაქტით შემოვიფარგლებით.

საბავშვო კრებულის მხატვრულ ღირსებაზე სამსჯელოდ ასპარეზი გემოვნებიანი მკითხველებისთვის დაგვითმია. ჩვენი შეფასება კი მოკლედ ასეთი იქნება: **ორდენიძე შიო მღვიმელის ორდენს იმსახურებს**. შთაბეჭდილების მისაღებად ერთ „სადიდო“ და ერთ საბავშვო ლექსს გთავაზობთ.



* * *

ერთად ვიმღეროთ

ასე მჯეროდა ყოველთვის,
ასე მჯერა და მწამს:
მივყვეთ ილიას გზას,
ვაჟა-ფშაველას მრწამსს.
ყური დავუგდოთ ყველამ
აკაკისეულ ჰანგს,
ნურვინ გავატანთ მათ აზრებს
იქით, შორეთში ქარს.
მივხედოთ ჩვენს საქართველოს
მის დაბლობსა და მთას,
ვთესოთ მამულში სიკეთე,
მხარში დავუდგეთ ყრმას.
შვილები ვზარდოთ, დედანო,
ძმა მივუმატოთ ძმას.
ნუ დავაჟანგებთ, ვაჟკაცნო,
ჩვენს სატევარს და ხმალს,
თორემ ხომ ხედავთ, რა ხდება,
მტერი მოგვადგა კარს...
ილიასეულ გზას მივყვეთ,
აკაკისეულ ჰანგს.
ჩონგურს ავუბათ სიმები,
ერთად ვიმღეროთ კვლავ.

გაბუტული ზამთარი

დეკემბერი, იანვარი
თებერვალიც, გავიდა,
მთელი ზამთრის პერიოდში
თოვლი აღარ მოვიდა.
ალბათ ბავშვებს გაგვებუტა,
მხოლოდ ცივა, ყინავს,
ბელურებო, წადით, ჰკითხეთ,
ჩვენგან რა ეწყინა?
– რაზე ვფიქრობ პატარებო?
იცით, რა მწყინს თქვენგან?
ეზო ყველამ დაივიწყეთ,
ეკრანებთან სხედხართ.
უმოძრაოდ, უჰაეროდ,
ზიხართ ყველა სახლში,
აბა, თოვლი რისთვის გინდათ,
თუ იქნებით სახლში?
თოვა მაშინ მიხარია,
მაშინ არის კარგი
როს გუნდაობს, ციგაობს
გარეთ ყველა ბავშვი.

თინათინ ორდენიძე

მადლი ქენი...

ჩვენც დავშორდებით!

ბევრჯერ გვითქვამს, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია... მაგრამ ნებისმიერი ადამიანის მომავალი, მაინც, სიბერეა!.. დრო უცებ გადის, წლები მიფრინავენ... და მაინც, რთულია წარმოიდგინო, რომ ოდესღაც ჩვენც დავბერდებით!.. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანს აბერებს არა ასაკი, არამედ სხვათა დამოკიდებულება მისი ასაკის მიმართ.. და რაოდენ მნიშვნელოვანია, თუ რა პირობებში უწევს ხანდაზმულ ადამიანს ცხოვრება, აქვს თუ არა მას ღირსეული სიბერე?. სწორედ, ამ მიზნით მოვინახულეთ **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი**, სადაც შესანიშნავი პირობებია შექმნილი იმისთვის, რომ აქაურმა მობინადრემ, თავი ოჯახურ გარემოში იგრძნოს და ყურადღება არ მოაკლდეს.

დარეჯან თომაძე: 35 წელიწადია რაც, დირექტორად ვმუშაობ. ჩემი მოღვაწეობა დავიწყე სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან და ალბათ, დავამთავრებ ხანდაზმულებით. პანსიონატი – 1960 წელს დაარსდა და მას ეწოდებოდა **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი „სავანე“**. თავის დროზე, იგი, ძირითადად, განკუთვნილი იყო **პერსონალური პენსიონერებისათვის**, რომელიც გახლდათ საკავშირო მნიშვნელობისა და დასასვენებლად ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. ეს ფუნქცია, ასე თუ ისე, შენარჩუნებული გვაქვს, რადგან პანსიონატში ცხოვრობენ მართლაც ღირსეული ადამიანები: **აკადემიკოსები, პროფესორები, ექიმები, ჟურნალისტები, პედაგოგები, ხელოვანები** ან სტუდენტები, საბავშვო ბაღების და სკოლის აღსაზრდელები. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო 205 ბაგა-ბაღის დირექტორს – **ია პატეიშვილს**, რომელიც ყველა ღონისძიებაზე ეპატიჟება მოხუცებს და მათ

ბავშვებთან ერთად სპექტაკლებში ათამაშებს... ახლახანს კი, გაზეთმა „**პრაიმ ტაიმ**“-მა დაპატიჟა ბენეფიციარები რესტორან „**თაღლაურაში**“. მოხუცებს ასევე, ეპატიჟებიან სხვადასხვა კონცერტებზე..

შარშან, დედის დღესთან დაკავშირებით, „**იავნანა**“-ს ფონდმა **პაატა ბურჭულაძის** თაოსნობით, ფილარმონიაში დიდი საქველმოქმედო მარათონი ჩაატარა.

მარათონიდან შეგროვილი თანხის ნაწილი კი, **ორმოცი ათასი ლარი**, პანსიონატს გადაერიცხა. ასევე, უნდა აღინიშნოს **თბილისის მერიის თანადგომა**.. ბენეფიციარებს ეხმარებიან: **„ბი-პი“**-ს წარმომადგენლობა საქართველოში, არასამთავრობო ორგანიზაცია „**ენერგო ეფექტურობა“, იუსაიდი, ტრეფიქინგის ფონდი, ბაზის ბანკი, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვები**.

ქალბატონი დარეჯანი კმაყოფილებას გამოთქვამს და მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს თუ ორგანიზაციას, რომლებიც ეხმარებიან ხანდაზმულებს, მათვის გაღებული თუნდაც მცირედი დახმარება, მოხუცებისთვის მართლაც ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

მზია გოგოძე

შემოქმედ პედაგოგთა და მოსწავლეთა საყურადღებოდ! გამომცემლობა "ზენაარი" გთავაზობთ

წიგნების, ბროშურების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემას, საგამომცემლო მომსახურებას: ტექსტის აკრეფას, დაკაბადონებას, კორექტირებას, რედაქტირებასა და ბეჭდვას.
შემოქმედება – თქვენი, შრომა და გამოცემა – ჩვენი!
მოიტანთ ან გადმოგვიგზავნით ნაშრომს, მიიღებთ პროდუქციას შეღავათიან ფასებში. ასევე დავწერთ და გამოვცემთ წიგნს საინტერესო წარსულის მქონე პედაგოგებზე, პედაგოგიურ კოლექტივზე, სკოლებზე და სხვა სასწავლო დაწესებულებებზე. **მისამართი:** თბილისი, ზანდუკელის ქ. №1
(მ. „რუსთაველის“ თავზე, მერაბ კოსტავას ეზო)
ტელ.: (032) 298 48 07; მობ. 599 343 727.
ელ-ფოსტა: zurkob@gmail.com

ბიზნესმენთა, მეცენატთა და ქველმოქმედთა საყურადღებოდ!
გაზეთ „სახალხო განათლება+“-ს ჰაერივით ესაჭიროება თქვენი ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება!
გთხოვთ გამოიწეროთ გაზეთი „სახალხო განათლება+“ და მხარში დაუდგეთ საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას!

ჩვენი რეკვიზიტებია:

ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCGBGE 22
მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: **„სახალხო განათლება +“**
ა/ა GE 94TB7249236080100007
ს/კ 402010587

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 2 (4523)
27 იანვარი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009